ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 119

"21" მარტი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს"-ს (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს"-ს (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის საფუძველზე, ასევე, კომპანიის - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე" (ს/ნ. 405589395), 2025 წლის 7 მარტს №10/01250661386-61 და 2025 წლის 17 მარტს №19/01250762595-61 და განცხადებებისა და ამხანაგობა „ძოწის" მიერ 2025 წლის 11 მარტის №19-01250702826-61; 2025 წლის 12 მარტის №19-01250711658-61 და 2025 წლის 18 მარტის № 19-012507813-61 განცხადებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს"-ს (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ.

№01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის №25.392.505 განკარგულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე